

დამკვეთი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ყვარლის ბაგა

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

აუდიტორი

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

205279660

ვიქტორ დოლიძის ქ. #2.



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
მოსაზრება.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	3
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ.....	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	9
ძირითადი საქმიანობა.....	9
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	9
ფუნქციონირებადი საწარმო	9
უცხოური ვალუტის ოპერაციები	9
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10
მიმდინარე მოთხოვნები	11
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11
დამატებითი ღირებულების გადასახადი.....	11
მოგების გადასახადი	12
ძირითადი საშუალებები	12
პერიოდის ცვეთის ხარჯი.....	12
სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები	13
საწესდებო კაპიტალი	13
შემოსავლის აღიარება	13
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....	14
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები, და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში	14
ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში	14
რისკის მართვა	20
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
სასამართლო დავები.....	22
ბალანსის შემდგომი მოვლენები	22

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ „ყვარლის ბაგა“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა, არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ მთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმენა იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოზრუნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავეგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაბამეა კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

21 აგვისტო, 2025

თბილისი, საქართველო

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოწვეულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

21 აგვისტო, 2025

თბილისი, საქართველო



შპს ყვარლის ბაგა
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	3	29 280 740	23 872 786
შემოსავალი ნახირის გადაფასებიდან	3	5 120 200	5 886 136
პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	3	139 071	947 783
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	3	(98 015)	(625 861)
მთლიანი მოგება		34 441 996	30 080 844
წარმოების ხარჯები	4	(21 693 015)	(18 784 655)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(845 712)	(681 831)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	6	250 121	1 169 183
სხვა საოპერაციო ხარჯები		(24 126)	(137 001)
ფინანსური შედეგი ძროხების რეალიზაციიდან		(3 811 033)	(2 865 528)
საოპერაციო მოგება		8 318 231	8 781 013
ფინანსური შემოსავლები	7	522 382	30 464
ფინანსური ხარჯები	8	(2 953 967)	(4 545 108)
მოგება დაბერგვრამდე		5 886 646	4 266 368
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		5 886 646	4 266 368
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		-	-
სულ სრული შემოსავალი		5 886 646	4 266 368

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 21 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ნათია გარგულია

მთავარი ბუღალტერი - თამარ კიპაროიძე

შპს ყვარლის ბაგა
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	3	29 280 740	23 872 786
შემოსავალი ნაზირის გადაფასებიდან	3	5 120 200	5 886 136
პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	3	139 071	947 783
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	3	(98 015)	(625 861)
მთლიანი მოგება		34 441 996	30 080 844
წარმოების ხარჯები	4	(21 693 015)	(18 784 655)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(845 712)	(681 831)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	6	250 121	1 169 183
სხვა საოპერაციო ხარჯები		(24 126)	(137 001)
ფინანსური შედეგი ძროხების რეალიზაციიდან		(3 811 033)	(2 865 528)
საოპერაციო მოგება		8 318 231	8 781 013
ფინანსური შემოსავლები	7	522 382	30 464
ფინანსური ხარჯები	8	(2 953 967)	(4 545 108)
მოგება დაბერგვრამდე		5 886 646	4 266 368
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		5 886 646	4 266 368
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		-	-
სულ სრული შემოსავალი		5 886 646	4 266 368

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 21 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:


 დირექტორი - ნათია გარგულია




 მთავარი ბუღალტერი თამარ კიპაროიძე

შპს ყვარლის ბაგა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები და ბიოლოგიური აქტივი	9	99 198 589	93 185 813
არამატერიალური აქტივები		26 372	30 998
საინვესტიციო ქონება	10	47 160	47 160
სულ გრძელვადიან აქტივები		99 272 121	93 263 971
მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივი	11	1 198 503	905 228
გადახდილი გადასახადები		146 180	129 424
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	12	70 429	-
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13	8 495 089	7 963 020
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	14	3 986 797	3 418 452
ფული და ფულის ექვივალენტები	15	40 636	130 288
სულ მიმდინარე აქტივები		13 937 633	12 546 412
სულ აქტივები		113 209 754	105 810 383
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		23 664 140	25 087 727
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		34 347 152	34 347 152
აკუმულირებული ზარალი		3 662 986	(2 223 660)
სულ კაპიტალი		61 674 277	57 211 218
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	16	35 711 526	36 430 598
გადავადებული შემოსავალი		186 318	215 690
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		35 897 844	36 646 288
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	17	5 111 803	5 371 914
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	16	10 525 830	6 580 963
სულ მიმდინარე ვალდებულებები		15 637 633	11 952 877
სულ ვალდებულებები		51 535 477	48 599 165
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		113 209 754	105 810 383

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 21 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ნათია გარგულია

მთავარი ბუღალტერი - თამარ კიპაროიძე

შპს ყვარლის ბაგა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები და ბიოლოგიური აქტივი	9	99 198 589	93 185 813
არამატერიალური აქტივები		26 372	30 998
საინვესტიციო ქონება	10	47 160	47 160
სულ გრძელვადიანი აქტივები		99 272 121	93 263 971
მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივი	11	1 198 503	905 228
გადახდილი გადასახადები		146 180	129 424
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	12	70 429	-
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13	8 495 089	7 963 020
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	14	3 986 797	3 418 452
ფული და ფულის ექვივალენტები	15	40 636	130 288
სულ მიმდინარე აქტივები		13 937 633	12 546 412
სულ აქტივები		113 209 754	105 810 383
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		23 664 140	25 087 727
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		34 347 152	34 347 152
აკუმულირებული ზარალი		3 662 986	(2 223 660)
სულ კაპიტალი		61 674 277	57 211 218
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	16	35 711 526	36 430 598
გადავადებული შემოსავალი		186 318	215 690
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		35 897 844	36 646 288
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	17	5 111 803	5 371 914
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	16	10 525 830	6 580 963
სულ მიმდინარე ვალდებულებები		15 637 633	11 952 877
სულ ვალდებულებები		51 535 477	48 599 165
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		113 209 754	105 810 383

* 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 21 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:


დირექტორი - ნათია გარგულია


მთავარი ბუღალტერი - თამარ კიპაროიძე

შპს ყვარლის ბაგა
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	23 726 957	(6 490 028)	34 347 152	51 584 080
კაპიტალის გაზრდა	1 360 770	-	-	
წმინდა მოგება	-	4 266 368	-	
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	25 087 727	(2 223 660)	34 347 152	57 211 218
კაპიტალის შემცირება	(1 423 587)	-	-	
წმინდა მოგება	-	5 886 646	-	
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	23 664 140	3 662 986	34 347 152	61 674 277

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 21 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ნათია გარგულია


მთავარი ბუღალტერი - თამარ კიპაროიძე

შპს ყვარლის ბაგა
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	23 726 957	(6 490 028)	34 347 152	51 584 080
კაპიტალის გაზრდა	1 360 770	-	-	
წმინდა მოგება	-	4 266 368	-	
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	25 087 727	(2 223 660)	34 347 152	57 211 218
კაპიტალის შემცირება	(1 423 587)	-	-	
წმინდა მოგება	-	5 886 646	-	
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	23 664 140	3 662 986	34 347 152	61 674 277

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 21 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:


 დირექტორი - ნათია გარგულო


 მთავარი ბუღალტერი - თამარ კიპაროიძე

შპს ყვარლის ბაგა
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		5 886 646	4 266 368
<i>კორექტირება:</i>			
ძირითადი საშუალების ცვეთის ხარჯი	9	3 561 673	2 682 795
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		16 222	5 450
მსხვილფეხა პირუტყვის აფასება/ჩამოფასება	9	(5 120 200)	(5 886 136)
საპროცენტო შემოსავალი	7,12	(12 306)	(6 708)
საპროცენტო ხარჯი	8,16	4 155 788	4 473 955
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	7	(489 435)	1 268 371
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		7 998 388	6 804 097
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(579 353)	3 814 964
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(532 069)	(954 622)
ცვლილებები გადასახადებში		(16 756)	34 348
ცვლილებები ბიოლოგიურ აქტივებში		(293 275)	(291 556)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(246 483)	1 928 422
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		6 330 452	11 335 653
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების მიღება	9	(14 135 042)	(17 585 628)
ძირითადი საშუალებების გასვლა	9	9 680 793	3 896 357
საინვესტიციო ქონების გაზრდა		-	(47 160)
არამატერიალური აქტივების მიღება		(11 596)	(19 804)
გაცემული სესხები	12	(1 166 836)	(159 500)
გაცემული სესხების დაფარვა	12	1 096 830	735 836
მიღებული პროცენტები	12	11 883	6 851
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(4 523 968)	(13 173 048)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის დაფარვა	16	(30 754 056)	(10 812 654)
მიღებული სესხები	16	34 477 846	15 467 228
გადახდილი პროცენტები	16	(4 102 969)	(4 337 428)
საწესდებო კაპიტალის შემცირება		(1 423 587)	1 360 770
გრანტებიდან მიღებული შემოსავალი		(29 372)	(29 291)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(1 832 138)	1 648 626
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი		(63 998)	26 729
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება		(89 652)	(162 041)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში		130 288	292 329
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს		40 636	130 288

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 21 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ნათია გარგულია

მთავარი ბუღალტერი - თამარ კიპაროიძე

შპს ყვარლის ბაგა
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		5 886 646	4 266 368
კორექტირება:			
ძირითადი საშუალების ცვეთის ხარჯი	9	3 561 673	2 682 795
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		16 222	5 450
მსხვილფეხა პირუტყვის აფასება/ჩამოფასება	9	(5 120 200)	(5 886 136)
საპროცენტო შემოსავალი	7,12	(12 306)	(6 708)
საპროცენტო ხარჯი	8,16	4 155 788	4 473 955
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	7	(489 435)	1 268 371
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		7 998 388	6 804 097
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(579 353)	3 814 964
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(532 069)	(954 622)
ცვლილებები გადასახადებში		(16 756)	34 348
ცვლილებები ბიოლოგიურ აქტივებში		(293 275)	(291 556)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(246 483)	1 928 422
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		6 330 452	11 335 653
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების მიღება	9	(14 135 042)	(17 585 628)
ძირითადი საშუალებების გასვლა	9	9 680 793	3 896 357
საინვესტიციო ქონების გაზრდა		-	(47 160)
არამატერიალური აქტივების მიღება		(11 596)	(19 804)
გაცემული სესხები	12	(1 166 836)	(159 500)
გაცემული სესხების დაფარვა	12	1 096 830	735 836
მიღებული პროცენტები	12	11 883	6 851
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(4 523 968)	(13 173 048)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის დაფარვა	16	(30 754 056)	(10 812 654)
მიღებული სესხები	16	34 477 846	15 467 228
გადახდილი პროცენტები	16	(4 102 969)	(4 337 428)
საწესდებო კაპიტალის შემცირება		(1 423 587)	1 360 770
გრანტებიდან მიღებული შემოსავალი		(29 372)	(29 291)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(1 832 138)	1 648 626
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი		(63 998)	26 729
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება		(89 652)	(162 041)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში		130 288	292 329
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს		40 636	130 288

* 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 21 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ნათია გარგუღია

მთავარი ბუღალტერი - თამარ კიკაროიძე

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „ყვარლის ბაგა“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2010 წლის 17 მარტს, მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ყვარლის რაიონი, ი. ჭავჭავაძის ქ. N13 ორგანიზაციის დამფუძნებელი და ას პროცენტური წილის მფლობელი არის ლამა პაპაშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რძის მოპოვება და რეალიზაცია ადგილობრივ რძის პროდუქტებით მოვაჭრე საწარმოებთან. ორგანიზაცია ფლობს ყვარლის რაიონში მსხვილფეხა პირუტყვის ნახირს და საწველ ტერიტორიას. ასევე ახორციელებს საკუთრებაში არსებული მიწების ხვნა-თესვას და პირუტყვის საკვები ბიოლოგიური აქტივების მოპოვებას, რომელიც არ არის გამოყენებული სარეალიზაციოდ და ხორციელდება მსხვილფეხა ნახირის კვება.

ორგანიზაციის ფერმის მოვლა და მისი წველადობა წამყვანია ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. მენეჯმენტს აქვს ბიზნეს გეგმა, რომელიც შემუშავებულია „საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია“-ის (IFC) დირექტივებით და მოიცავს კომპანიის განვითარების და მომგებიანობის დეტალურ ფინანსურ და ტექნიკურ ანალიზს, რომლის მიხედვითაც მენეჯმენტი ახორციელებს ინვესტიციებს საოპერაციო და საფინანსო საქმიანობაში.

მომზადების საფუძვლები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, გარდა ახალი და შეცვლილი სტანდარტების გამოყენებისა, რომლებიც მე-3 შენიშვნაშია განხილული.

შეფასების საფუძვლები

- კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს), როგორც მოეთხოვება ქართული კანონმდებლობით.
- რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.
- კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. მენეჯმენტი მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად და საოპერაციო გარემოს გასაუმჯობესებლად.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

უცხოური ვალუტის ოპერაციები (გაგრძელება)

ვალუტის გაცვლითი კურსი
ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით“, „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღირცხვლია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

სავაჭრო მოთხოვნები აღირცხვლია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღირცხვლია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულსა და ფულის ეკვივალენტებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ თანხებს. ფული და ფულის ეკვივალენტები არიან ისეთი ერთეულები, რომლებიც ადვილად კონვერტირებადი უკვე განსაზღვრული თანხის ფულად ერთეულებად და ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი აქვთ. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად.

კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან.

შპს ყვარლის ბაგა
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური ვალდებულებები (გაგრძელება)

მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნეტო ღირებულებით წარდგენა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

მიმდინარე მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. თუ მისაღები თანხების შეგროვება მოსალოდნელია ერთ წელში ან ნაკლებში, ისინი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები. თუ არა, წარმოდგენილი იქნება როგორც გრძელვადიანი აქტივები. ამჟამად, ყველა კომპანიის მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივებად რადგან მათი მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ფარგლებში.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული მოთხოვნების ანალიზს და მის დარეზერვებას წარსულში არსებული პრაქტიკიდან და ბაზრის ტენდენციებიდან გამომდინარე.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი მოიცავს პირუტყვის საკვებ პროდუქტებს, რომელიც შეძენილია საანგარიშო პერიოდში ან მიღებულია საკუთარი სათესი მიწებიდან.

მსგავსი ტიპის მარაგების ჩამოწერას ახლავს უზუსტობის თანდაყოლილი რისკები, ვინაიდან ვერ ხდება საკვები პროდუქციის და მისი შენარეუების ზუსტი კალკულაცია და შესაბამისი ხარჯვა. პირუტყვის კვების ხარჯებს ახასიათებს სეზონურობა და ხასიათდება დანაკარგის ნორმებით, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია ატმოსფერულ მოვლენებთან (ქარი, წვიმა). მენეჯმენტი მარაგების ჩამოწერას ახორციელებს ფაქტიური დანახარჯებით და კონტროლირდება მისი შესაბამისობა სტანდარტებით დაშვებულ ნორმებთან.

მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფადრუნვად მარაგებს და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებაზე მათი ტესტირება არ მომხდარა, რადგან არსებითი ნაწილი გამოიყენება საკვებ მასალად და არა სარეალიზაციოდ.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

შესრულებულ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაწეულ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. მიღებული ავანსებზე გადასახდელი ვალდებულებები საგადასახადო ორგანოსთან დაბეგვრას ექვემდებარება თანხის ფაქტიურად მიღების დროს, რა დროსაც შესრულებულია საგადასახადო ვალდებულება და მასთან ერთად

წარმოიქმნება აქტივი წინასწარ გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადის შესაბამისად. აღნიშნული აქტივი გამოყენებას ექვემდებარება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების დროს წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულების დროს, როდესაც მოხდება იმ მომსახურების მიწოდება რომლის სანაცვლოდაც მიღებულია ავანსი.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგრვა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

კომპანიის მიწები შეფასებულია და მისი რეალური საბაზრო ღირებულება დადგენილია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელიც ფლობს შესაბამის პროფესიულ კვალიფიკაციას.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად :

- შენობები 15
- სხვა ძირითადი საშუალებები 3-5
- მანქანა-დანადგარები 10-20
- სატრანსპორტო საშუალებები 10-20
- ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა 5-10

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

ბიოლოგიური აქტივები

ორგანიზაცია ფლობს ბიოლოგიურ აქტივს: მსხვილფეხა პირუტყვი ცხოველების და სახნავ სათესი მიწების სახით. პირუტყვის ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება საბაზრო ღირებულებით, რომლის შეფასებას ხორციელდება საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით და მიღებული შედეგები ასახულია ანგარიშგებაში.

შპს ყვარლის ბაგა
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)
(ბიოლოგიური აქტივები გაგრძელება)

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მისაღებად სახნავ-სათეს მიწებზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენა ხორციელდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მის მოყვანაზე გაწეულ დანახარჯებს. მოცემულ აქტივზე პერიოდის ბოლოს საბაზრო ღირებულების დადგენა არის შეუძლებელი ვინაიდან საანგარიშო პერიოდის ბოლოს ნათესებს არ აქვს დაწყებული მოსავლიანობა და მისი შეფასება არ იძლევა საკმარის რწმუნებას, რის გამოც სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს თვითღირებულების მოდელს რა დროსაც ხორციელდება ყველა გაწეული ხარჯის დაკაპიტალიზირება და შემდგომ მიღებული მოსავლით მისი კორექტირება პერიოდის არა საოპერაციო შემოსავლად ან ხარჯად.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არა მიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არა მიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

სესხები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით. სასესხო ვალდებულებები ანგარიშგებაში წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

საანგარიშო პერიოდის შემოსავლის არსებითი ნაწილი მოიცავს მსხვილფეხა პირუტყვისგან მიღებული რძის რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს. ასევე საანგარიშო პერიოდში რეალიზებულ მსხვილფეხა პირუტყვის და ნახირის გადაფასებით მიღებულ შემოსავლებს. რძის რეალიზაცია ხორციელდება ყოველდღიურად და გაყიდვების არსებითი ნაწილი მოიცავს კომპანია „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“-ს რეალიზაციას.

ნახირის აფასებით მიღებული შემოსავალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულია საოპერაციო შემოსავლად. მენეჯმენტი ახორციელებს ნახირის შეფასებას ყოველი საანგარიშო თვის ბოლო და მისი საბაზრო ღირებულების ზრდას აღიარებს პერიოდის შემოსავლად.

ორგანიზაცია ფასს 41 კლასიფიცირებით მიღებულ შემოსავალს განსაზღვრავს იმ რეალიზებული პროდუქციის ღირებულებით, რომლის საბაზრო ფასიც დგინდება გაყიდვის დროს. ვინაიდან პერიოდის განმავლობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტის რეალიზება ხდება მისი მიღებისთანავე, შესაბამისად პერიოდის ამონაგები და ამ პროდუქტის რეალური ღირებულება ერთმანეთის ტოლია.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საოპერაციო ხარჯები მოიცავს კომუნალურ, კომუნიკაციის, ადმინისტრაციის ხელფასის და სხვა ისეთ დანახარჯებს, რომელთა გაწევაც ხორციელდება განსაზღვრული ვალდებულების უწყვეტად შესასრულებლად.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები, და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დამჯებებს, რომელიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

დაკავშირებულ მხარესთან გარიგებების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანია გარიგებებს აფორმებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, რომ ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება მოხდეს მათი რეალური ღირებულებით. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანსაქციების შემთხვევაში, შეფასება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგებების ფასები საბაზრო საპროცენტო განკვეთებითაა შეფასებული თუ არა, სადაც ამგვარი გარიგებებისთვის მოქმედი ბაზარი არ არსებობს. შეფასების საფუძველია დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი სახის გარიგებების ფასი და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვლადი ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვლადი, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნოლოგიური განვითარების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება

3. ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიკური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

შპს ყვარლის ბაგა
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

კომპანიის შეფასებით ცვლილებებს არ აქვს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა

ძალაში სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან
გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

შენიშვნა 3 -შემოსავალი რეალიზაციიდან	2024	2023
ამონაგები	29 320 220	23 985 577
ფერმის გადაფასებით მიღებული შემოსავალი	5 120 200	5 886 136
შემოსავალი სოფლის მეურნეობის პროდუქციიდან	139 071	947 783
გაცივებული საქონლის უკან დაბრუნება/ფასდათმობა	(39 480)	(112 791)
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	(98 015)	(625 861)
სულ შემოსავალი	34 441 996	30 080 844

შენიშვნა 4 - წარმოების ხარჯები	2024	2023
ძროხების საკვები	13 532 591	12 159 287
ცვეთა და ამორტიზაცია	3 577 561	2 689 211
პირდაპირი ხელფასის ხარჯები	2 002 724	1 659 489
რემონტის ხარჯები	814 365	889 632
საწვავის ხარჯები	625 016	524 207
შეკეთების ხარჯები	406 931	369 323
კომუნალური ხარჯები	474 072	236 706
საიჯარო ხარჯები	177 966	184 700
დაზღვევის ხარჯები	23 326	21 415
სხვა ხარჯები	58 464	50 684
სულ წარმოების ხარჯები	21 693 015	18 784 655

შენიშვნა 5 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
საგადასახადო ხარჯები	298 206	267 986
სახელფასო ხარჯები	293 251	218 397
საკონსულტაციო ხარჯები	117 169	66 532
კომუნიკაციის ხარჯები	23 502	22 440
ოფისის კომუნალური ხარჯები	13 593	12 853
საბანკო მომსახურების ხარჯები	8 597	11 608
საკანცელარიო ხარჯები	9 309	10 369
სხვა საერთო ხარჯი	82 085	71 645
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	845 712	681 831

შპს ყვარლის ბაგა
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 6 - სხვა საოპერაციო შემოსავლები	2024	2023
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	100 553	203 739
გრანტიდან მიღებული შემოსავალი	29 372	29 291
საქონლის ნამეტით მიღებული შემოსავლები	82 950	52 740
სხვა შემოსავლები	37 246	883 412
სულ სხვა საოპერაციო შემოსავლები	250 121	1 169 183

შენიშვნა 7 - ფინანსური შემოსავლები	2024	2023
საპროცენტო შემოსავლები	32 946	30 464
გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი	489 435	-
სულ ფინანსური შემოსავლები	522 382	30 464

შენიშვნა 8 - ფინანსური ხარჯები	2024	2023
საპროცენტო ხარჯები	2 953 967	3 276 737
გადაფასებიდან მიღებული ზარალი	-	1 268 371
სულ ფინანსური ხარჯები	2 953 967	4 545 108

შპს ყვარლის ბაგა
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	მიწა	მსხვილფეხა პირუტყვი	მრავალწლიანი ნარგავები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
თვითღირებულება	37 873 827	12 644 643	296 883	1 221 808	21 490 804	4 732 647	90 691	5 005 604	2 476 284	85 833 190
ცვეთა	-	-	-	-	(4 872 700)	(2 025 628)	(58 523)	(1 600 127)	(983 012)	(9 539 989)
ბალანსი 31/12/2022	37 873 827	12 644 643	296 883	1 221 808	16 618 104	2 707 020	32 168	3 405 477	1 493 272	76 293 201
დანამატები	20 883	4 484 886	12 258	9 179 851	9 642 491	1 597 794	14 758	1 929 427	593 836	27 476 184
აქტივების ჩამოწერა	(88 926)	(3 663 265)	(110 471)	(9 890 556)	-	-	-	(115 686)	-	(13 868 904)
აფასება	-	191 855 580	-	-	-	-	-	-	-	191 855 580
ჩამოფასება	-	(185 969 444)	-	-	-	-	-	-	-	(185 969 444)
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	-	-	(1 202 274)	(453 279)	(15 232)	(546 045)	(465 966)	(2 682 795)
ჩამოწერილი აქტივების	-	-	-	-	-	-	-	81 991	-	81 991
ცვეთა										
ბალანსი 31/12/2023	37 805 783	19 352 400	198 669	511 103	25 058 322	3 851 535	31 694	4 755 164	1 621 142	93 185 813
დანამატები	49 563	-	171 187	4 727 897	2 508 816	4 420 015	5 253	1 277 736	974 576	14 135 042
აქტივების ჩამოწერა	(38 723)	(4 796 200)	(145 465)	(4 690 233)	-	(3 000)	-	(51 461)	-	(9 725 082)
აფასება		234 004 000								234 004 000
ჩამოფასება		(228 883 800)								(228 883 800)
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	-	-	(1 497 771)	(749 352)	(12 972)	(685 861)	(615 717)	(3 561 673)
ჩამოწერილი აქტივების	-	-	-	-	-	3 114	-	41 174	-	44 288
ცვეთა										
ბალანსი 31/12/2024	37 816 623	19 676 400	224 391	548 767	26 069 366	7 522 313	23 975	5 336 752	1 980 001	99 198 589
ბალანსი 31/12/2023	37 805 783	19 352 400	198 669	511 103	25 058 322	3 851 535	31 694	4 755 164	1 621 142	93 185 813
ბალანსი 31/12/2024	37 816 623	19 676 400	224 391	548 767	26 069 366	7 522 313	23 975	5 336 752	1 980 001	99 198 589

შპს ყვარლის ბაგა
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 10 - საინვესტიციო ქონება	31.12.2024	31.12.2023
1 იანვარი	47 160	-
შემოსვლა	-	47 160
31 დეკემბერი	47 160	47 160

შენიშვნა 11 - ბიოლოგიური აქტივები	31.12.2024	31.12.2023
აგროკულტურის ნარგავები	1 198 503	905 228
სულ ბიოლოგიური აქტივები	1 198 503	905 228

აგრო კულტურის ნარგავები არის ისეთი ტიპის აქტივი, რომელსაც კომპანია ფლობს შემდგომ მისგან მიღებული მოსავლით პირუტყვის გამოსაყვებად. ვინაიდან მისი რეალური ღირებულების განსაზღვრა საანგარიშო წლის ბოლოს შეუძლებელია, ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია თვითღირებულებით, მასზე გაწეული დანახარჯების შესაბამისად.

შენიშვნა 12 - გაცემული სესხები	31.12.2024	31.12.2023
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები	70 000	-
მისაღები პროცენტები	429	-
სულ გაცემული სესხები	70 429	-

საანგარიშო პერიოდების შესაბამისად გაცემული სესხის მოძრაობა იყო შემდეგი:

	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	-	596 002
სესხის გაცემა	1 166 836	159 500
გაცემული სესხის ძირის მიღებები წლის განმავლობაში	(1 096 830)	(735 836)
საპროცენტო ვალდებულებების დარიცხვა	12 306	6 708
პროცენტის მიღება წლის განმავლობაში	(11 883)	(6 851)
საკურსო სხვაობა	-	(19 523)
სულ ნასესხები სახსრები	70 428	-

შენიშვნა 13 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31.12.2024	31.12.2023
მარცვლეული და ბალახი	52 679	3 759
სასუქი და შესაწამლი პრეპარატები	275 817	244 698
ლეზინფექციის და დასუფთავების საშუალებები	19 392	14 162
მედიკამენტები	58 676	71 547
განაყოფიერების საშუალებები	118 207	143 844
ფერმის აქსესუარები	321 447	197 721
წარმოების ზედნადები ხარჯები	7 459 468	6 924 834
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	189 403	362 455
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8 495 089	7 963 020

შპს ყვარლის ბაგა
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 14 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	2 488 277	1 610 914
გადახდილი ავანსები	1 459 490	1 790 963
წინასწარ გაწეული ხარჯი	21 938	-
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	41 975	32 684
რეზერვები	(24 883)	(16 109)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 986 797	3 418 452

	31.12.2024	31.12.2023
1 იანვარი	(16 109)	(21 677)
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	(8 773.63)	5 568
31 დეკემბერი	(24 883)	(16 109)

შენიშვნა 15 - ფული და ფულადი ექვივალენტები	31.12.2024	31.12.2023
ლარი საბანკო ანგარიშებზე	40 276	129 660
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	360	628
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	40 636	130 288

შენიშვნა 16 - სასესხო ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
მოკლევადიანი სესხები	-	1 000 319
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	10 307 664	5 408 515
გრძელვადიანი სესხები	35 711 526	36 430 598
გადასახდელი პროცენტები	218 166	172 129
	46 237 356	43 011 562

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	46 019 190	42 285 509
არაფინანსური ინსტიტუტებიდან მღებულები სესხები	-	554 024

სულ სასესხო ვალდებულებები	46 019 190	42 839 533
----------------------------------	-------------------	-------------------

საანგარიშო პერიოდში სასესხო ვალდებულებების მოძრაობა :

	2024	2023
ნასესხები ფულადი სახსრები და გადასახდელი პროცენტები	43 011 562	36 981 286
სესხზე დარიცხული პროცენტი	4 155 788	4 473 955
მიღებული ფულადი სახსრები	34 477 846	15 467 228
გადახდილი პროცენტი	(4 102 969)	(4 337 428)
გადახდილი ძირი თანხა	(30 754 056)	(10 812 654)
დადებითი საკურსოს სვამბა	(550 815)	1 239 173
სულ ნასესხები სახსრები	46 237 356	43 011 562
გრძელვადიანი ნაწილი	35 711 526	36 430 598
მოკლევადიანი ნაწილი	(10 525 829)	6 408 834

შპს ყვარლის ბაგა
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 17 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	5 080 964	5 177 247
გადასახდელი ხელფასები	5 011	7 551
მიღებული ავანსები	25 828	187 115
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5 111 803	5 371 914

18. რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. საკრედიტო მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები კომპანიაში უმნიშვნელოა ვინაიდან სავაჭრო მოთხოვნებზე კონსიგნაციის პერიოდები მინიმალურია და მენეჯმენტი ამ რისკებს მართავს მიწოდების ციკლის უწყვეტობით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის. ცხრილში მოცემულია საანგარიშო წლის ბოლოს არსებული ვალდებულებების ვადიანობა, იმის განსასაზღვრად ხომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ლიკვიდურობის რისკები:

31 დეკემბერი 2024

	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2024 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 340 147	-	2 745 829	-	-	5 085 976
ნასესხები სახსრები	551 480	1 539 743	8 216 441	22 016 679	13 913 013	46 237 356
სულ ფინანსური ვალდებულებები	2 891 627	1 539 743	10 962 270	22 016 679	13 913 012	51 323 331

შპს ყვარლის ბაგა
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ლიკვიდურობის რისკები (გაგრძელება)

	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2023 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 345 000	2 839 799	-	-	-	5 184 799
ნასესხები სახსრები	1 893 893	1 514 894	3 172 177	36 430 598	-	43 011 562
სულ ფინანსური ვალდებულებები	4 238 893	4 354 693	3 172 177	36 430 598	-	48 196 361

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში კომპანია ფლობს უცხოურ ვალუტაში არსებულ სავაჭრო და სასესხო ვალდებულებებს. 2024 წელს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულია მოგება საკურსო სხვაობიდან, რომელიც გამოიწვია ლარის კურსის გამყარებამ უცხოური ვალუტის მიმართ. ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული აქტივები და ვალდებულებები წარმოქმნილი შესაბამის ვალუტაში

	31 დეკემბერი 2024			31 დეკემბერი 2023		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია
აშშ დოლარი	114	(18 874)	(18 760)	48	(24 416)	(24 368)
ევრო	232	(35 016 671)	(35 016 440)	545	(31 744 975)	(31 744 430)
რუბლი	14	-	14	40	(14 234)	(14 194)

ვინაიდან სასესხო ვალდებულებების არსებითი ნაწილი წარმოქმნილია უცხოურ ვალუტაში, ქვეყნის ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებები გავლენას ახდენს საანგარიშო პერიოდის ფინანსურ შედეგებზე, რის გამოც სავალუტო რისკები მაღალია. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ ტრანზაქციებს; შესაბამისად, მასზე მოქმედებს რისკი, რომელიც გაცვლითი კურსის მერყეობისას წარმოიქმნება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულზე.

	2024	2023
	გავლენა-მოგება ზარალზე	გავლენა-მოგება ზარალზე
აშშ დოლარის 20%-იანი გამყარება	(3 752)	(4 874)
აშშ დოლარის 20%-იანი გაუფასურება	3 752	4 874
ევროს 20%-იანი გამყარება	(7 003 288)	(6 348 886)
ევროს 20%-იანი გაუფასურება	7 003 288	6 348 886
რუბლი 20%-იანი გამყარება	3	(2 839)
რუბლი 20%-იანი გაუფასურება	(3)	2 839

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენს:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
- (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტიორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
- (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

შპს ყვარლის ბაგა
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(დ)ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;
(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

<u>დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:</u>		
დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:	2024	2023
სასესხო ვალდებულებები	526 544	196 000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	29 959
	526 544	225 959
<u>დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:</u>		
დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:	2024	2023
მომსახურების შეძენა	49 025	63 126
	49 025	63 126
<u>დარიცხული ხელფასი</u>		
დარიცხული ხელფასი	2024	2023
წამყვანი მენეჯმენტი	23 133	17 910

20. სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. მოქმედი სასამართლო დავები მოიცავს მშენებლობის პროცესთან დაკავშირებულ დავებს რომელიც მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან მოიცავს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მაცხოვრებლის სარჩელს მშენებლობის პროცესში მისი საკუთრებისათვის მიყენებულ ზარალთან დაკავშირებით.

21. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი მოვლენები რომელიც გავლენას მოახდენდა წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

მმართველობის ანგარიშგება

დოკუმენტში ასახულია კომპანიის ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტებით. აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი და სტანდარტები.

ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო იყოს კომპანიის საქმიანობის სპექტრი. კომპანიის რესურსები ორიენტირებულია ახალი ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობაზე და კონტროლზე.

კომპანიას აქვს ჩამოყალიბებული მისია - რომელიც გაჯერებულია მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით და აქვს პრეტენზია, რომ საქართველოში არის პირველი საწარმო, როგორც სიდიდით, ასევე საქმიანობისადმი დამოკიდებულებით, რომელიც ნერგავს იმ სფეროში, რომელშიც ვმუშაობთ, საერთაშორისო დონის სტანდარტებს.

კომპანია შეიქმნა 17/03/2010

ოპერირება დაიწყო 2013 წლის დეკემბერში

- შპს ყვარლის ბაგა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში კანონმდებლობის შესაბამისად.
- კომპანიის ფაქტიური და იურიდიული მისამართია ქ. ყვარელი ჭავჭავაძის 13
- საიდენტიფიკაციო ნომერია: 441554051
- კომპანიის დამფუძნებელია - ლაშა პაპაშვილი პ/ნ 01008006654 – 100%-ანი წილის მფლობელი

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

შპს ყვარლის ბაგა არის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული მერძეული ფერმა; ერთ-ერთი პიონერი საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში;

ყვარლის ბაგას ლოკაციაა - აღმოსავლეთ საქართველო, ყვარლის რაიონი (კახეთის მხარის ჩრდილო-აღმოსავლეთი)ყვარელი.

კომპანია ფლობს მერძეული ჯიშის ძროხებს

განვითარების მიმოხილვა

კომპანიას 2018 წელს დანერგა სპეციალური ნახირის მართვის სისტემა, რომელიც ასევე ონლაინ რეჟიმში უცხოელი კონსულტანტების მეთვლეყურების ქვეშ უზრუნველყოფს წველადობის და პროცესების ჯანმრთელობის მონაცემების ამოღებას.

კომპანიამ არ შეაჩერა განვითარება და 2019-2023 წლებშიც საკმაოდ მოცულობითი ინვესტიციები განახორციელა.

კომპანიაში წლიდან წლამდე ხდება ეფექტიანი რეინვესტირება ახალ ტექნოლოგიებსა და საწარმოო საშუალებებში საშუალებას გვაძლევს, გავხდეთ ეფექტური ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმადობის ზრდის ნაწილში.

2022 წელს კომპანიამ გაფართოების მიზნის დაიწყო საძროხეების მშენებლობა, რომელშიდაც ჩაიდო 4 მლნ -მდე ინვესტიცია.

ასევე ირიგაციის სისტემის მოწყობისთვის 2022 წელს ინვესტიციებში ჩაიდო 326 830 ლარი.

2023 წელს დასრულდა მე-7-8-9-10 საძროხეების მშენებლობა, რომლის ჯამურმა ინვესტიციამ 7 779 344 ლარი შეადგინა.

2023 წელს გაკეთდა სამი ჭაბურღილი, რომლის ღირებულებამაც 605 182 ლარი შეადგინა.

2024 წელს მთელი ფერმა აღიჭურვა იტალიური წარმოების გაგრილების სისტემით, რაც უზრუნველყოფს საქონლისთვის სიცხის სტრესის მაქსიმალურად შემცირებასა, ზრდის საქონლის კეთილდღეობას და დადებითად მოქმედებს დღიური წველის რაოდენობაზე.

ასევე დაგეგმილია დამატებით გაგრილება-დასხურების სივრცეების შექმნა საწველ დარბაზთან მოსაცდელ ადგილას და სადგომებს შორის სპეციალურად გამოყოფილ გაგრილების ადგილებში.

ნედლ რძეზე გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით 2023 წელს განხორციელდა 587 სული მაკე დეკეულის იმოპრტი ესტონეთიდან და დანიიდან.

2025 წლისთვის დაგეგმილია ინვესტიციები რძის 30 ტონიანი მაცივარ ცისტერნისა და რძის წინარე გაგრილების სისტემის შეძენა დამონტაჟებისთვის, რაც შექმნის საბოლოო პროდუქტის შესანახად სარეზერვო მოცულობასა და უზრუნველყოფს პროდუქციის სტაბილურად მაღალ ხარისხის წელიწადის ნებისმიერ დროს.

ფერმის გაფართოების კვალდაკვალ მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ინვესტიციები (აქ თუ გინდა თანხა მიუთითე) მოძველებული სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ჩანაცვლება და ახალი ტექნიკის შეძენა, რაც აუცილებელია მოსავლის დროული აღება დაბინავებისთვის. პროცესი გაგრძელდება 2025 წელსაც სოფლის განვითარების პროექტებში აქტიური ჩართულობით.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ქვეყანაში ინდუსტრიული რძის წარმოება განვითარების საწყის ეტაპზეა, რძის პროდუქტების მწარმოებლებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები რძის შესყიდვისას:

- მაღალი ცხიმისა და პროტეინების შემცველი პროდუქტი;
- სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნების შესაბამისობა;

ყვარლის ბაგას ფერმაში წარმოებული რძე გამოირჩევა მაღალი ხარისხით შეესაბამება მომწოდებლების ყველა მოთხოვნას.

საქსტატის მონაცემებით საქართველოში ნედლი რძის წამოებაში უმეტეს წილს შინამეურნეოები იკავებენ. ამავე მონაცემებით საქართველოში ფურის სულადობა წლიდან წლამდე ეცემა. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ადგილობრივ წარმოებაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილი 2%-ზე დაბალი გახლდა. ყვარლის ბაგას წარმოებული რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილში 40%-ია. ამ პირობებში, როცა მწარმოებლებისათვის მნიშვნელოვანია სტაბილური რძის მიწოდება სეზონის ნებისმიერ დროს, ყვარლის ბაგას მენეჯმენტის ხედვაა, რომ ყოველწლიურად გაზარდოს როგორც სულადობა, ასევე წველადობის რაოდენობა. 2017 წელს წარმოებული რძის რაოდენობა 40%-ით მეტია წინა წელთან შედარებით, ეს ტენდენცია დაცულია 2018 წელსაც წინა წელთან მიმართებაში, 2019 წელს კი რძის წარმოება გაზარდილია 25 %-ით 2018 წელთან შედარებით. ასევე წველადობის თვალსაზრისით ძალიან წარმატებული იყო 2021 წელიც, რძის გაზარდილი მოთხოვნილებიდან გამომდინარე 2021 წელს 261 ცალი ძროხა იქნა შეძენილი, რომელშიც 1 946 075,20 ლარის ინვესტიცია ჩაიდო. 2022 წელს კვლავ გაიზარდა ჰეიფერების იმპორტი, რომელმაც ჯამში 331 ცალი შეადგინა, ჯამურმა ინვესტიციამ ჰეიფერებში შეძენისთვის 2022 წელს შეადგინა 2 267 987,26 ლარი. 2023 წელს შეძენილია 587 მაკე ჰეიფერი, რომლის ჯამურმა ინვესტიციამ 4,484,886 ლარი შეადგინა.

ყვარლის ბაგა ყოველწლიურად არა მხოლოდ ზრდის ნახირის რაოდენობას არამედ ზრუნავს, რომ მხოლოდ ჯანმრთელი ძროხით იყოს შევსებული ნახირი, ისეთი, რომელიც ჯანმრთელ შთამომავლობას მისცემს კომპანიას, ამავე დროს წველადობის მაჩვენებლით იქნება მაღალწარმადობის. ყვარლის ბაგას ძროხების წველადობა მაჩვენებლებით უტოლდება ევროპის მოწინავე ქვეყნების ჰოლშტეინების ძროხების წველადობას.

საქსტატის მონაცემებით გაზარდილია რძის ფასი, რისი საფუძველიც არის

1. რძის ფხვნილის გაძვირება მსოფლიო ბაზარზე;
2. ადგილობრივ ბაზარზე ნედლი რძის წარმოების შემცირება

ნედლი რძის ფასის გაზრდა მნიშვნელოვანია ორგანიზაციის შემოსავლებისათვის.

ამავე დროს ხდება გაყიდვების დივერსიფიცირება სხვადასხვა შემსყიდველ კომპანიაზე, თუ წინა წლებში ბაზარზე იყო 1 კომპანია, რომელიც იყო ჩვენი პარტნიორი დღეს კომპანია რძით

ამარაგებს ისეთ კომპანიებს, რომლებიც საქართველოში მთავარი რძის გადამამუშავებელი კომპანიები არიან.

- ყვარლის ბაგას რეპუტაცია ბაზარზე მაღალია, რადგან ფერმის მიერ ნაწარმოები რძე გამოირჩევა მაღალი ხარისხობრივი მახასიათებლებით. კომპანიას შეუძლია უზრუნველყოს რძის მიწოდება სეზონის ნებისმიერ დროს, რაც მის მაღალ რეპუტაციასა და სიძლიერეს განაპირობებს;
- ბაგას მომხმარებლები არიან საქართველოში ყველაზე მაღალი წარმადობის და რეპუტაციის მქონე რძის მწარმოებელი წამყვანი კომპანიები;
- შპს ყვარლის ბაგა პასუხისმგებლობით ეკიდება გარემოსდაცვით ვალდებულებებს, უცხოელი კონსულტანტების დახმარებით დანერგილი გვაქვს გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის სისტემა. ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი და შეთანხმებული პერიოდულობით წარადგენს შესაბამის ანგარიშებს.
- კომპანიას დასაქმებული ჰყავს რეგიონში 100 თანამშრომელი - დანერგილი აქვს ოპერირების ინსტრუქციები, ნებისმიერი სამსახურისთვის ცალკეულად განსაზღვრულია შესაბამისი თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობები. სტრუქტურა დაყოფილია დეპარტამენტებად - დეპარტამენტები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე. დანერგილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად. კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს. თანამშრომლებისათვის შექმნილია შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

რისკები და გაურკვევლობები

ყვარლის ბაგას ძირითადი რისკები და გამოწვევები დაკავშირებულია სავალუტო რისკებთან, რადგან გარდა ადგილობრივი საკვები მასალისა, საკვები დანამატების ძირითად ნაწილს წარმოადგენს იმპორტი ევროპული ქვეყნებიდან. შესაბამისად, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ნაწილი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ევროს კურსის დინამიკაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ნედლი რძე პირდაპირ არ არის დამოკიდებული სავალუტო რისკებზე, ამ შემთხვევაში, გამოწვევას წარმოადგენს ქვეყანაში ნედლი რძის ბაზრის მკაცრი რეგულაციის არარსებობა, რადგან ნედლი რძე ძირითადად იწარმოება/გადამამუშავდება მცირე მეწარმეების მიერ, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ეს, საბოლოო ჯამში, არასამართლიან კონკურენტულ გარემოს ქმნის ორგანიზებული ინდუსტრიისათვის.

ასევე მნიშვნელოვანია მსოფლიო ბაზარზე რძის ფხვნილის ფასი. რძის ფხვნილის გაიაფება იწვევს ნედლ რძეზე მოთხოვნის კლებას.

ერთერთ რისკ ფაქტორს წარმოადგენს ასევე რუსეთ-უკრაინის ომი და შეზღუდვები რუსეთის მარცვლეულის ბაზრაზე. მარცვლეულის ექსპორტზე რუსეთიდან შეზღუდვა-აკრძალვის დაწესების შემთხვევაში შესაძლოა გაჩნდეს დეფიციტი კონკრეტულ ნედლეულზე, რაც საბოლოოდ აისახება საქონლის ჯანმრთელობაზე და პროდუქციის თვითღირებულებას.

რისკ ფაქტორებში გასათვალისწინებელია სეზონური ფაქტორებიც, მკაცრი ყინვების შემთხვევაში ან ზაფხულში ტურისტების მოძრაობის აქტიურ პერიოდში მნიშვნელოვნად იზღუდება მარცვლეულის იმპორტის შესაძლებლობა და იზრდება ლოჯისტიკური დანახარჯები, რაც თავის მხრივ აისახება საბოლოო პროდუქტის თვითღირებულებაზე.

შპს ყვარლის ბაგა-ს დირექტორი

ნათია გარგულია

ერთერთ რისკ ფაქტორს წარმოადგენს ასევე რუსეთ-უკრაინის ომი და შეზღუდვები რუსეთის მარცვლეულის ბაზრაზე. მარცვლეულის ექსპორტზე რუსეთიდან შეზღუდვა-აკრძალვის დაწესების შემთხვევაში შესაძლოა გაჩნდეს დეფიციტი კონკრეტულ ნედლეულზე, რაც საბოლოოდ აისახება საქონლის ჯანმრთელობაზე და პროდუქციის თვითღირებულებას.

რისკ ფაქტორებში გასათვალისწინებელია სეზონური ფაქტორებიც, მკაცრი ყინვების შემთხვევაში ან ზაფხულში ტურისტების მოძრაობის აქტიურ პერიოდში მნიშვნელოვნად იზღუდება მარცვლეულის იმპორტის შესაძლებლობა და იზრდება ლოჯისტიკური დანახარჯები, რაც თავის მხრივ აისახება საბოლოო პროდუქტის თვითღირებულებაზე.

შპს ყვარლის ბაგა-ს დირექტორი

ნათია გარგულია

The image shows a handwritten signature in blue ink, which appears to be 'Nati Gargulia'. To the right of the signature is a circular official stamp in blue ink. The stamp contains text in Georgian, including 'შპს ყვარლის ბაგა' (Shps Kvartli Bagha) and 'დირექტორი' (Director). There is also a date stamp '2023.09.23' and a time stamp '14:00'.